სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება/დოკუმენტი არეგულირებს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე: „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის/ტურის ჩატარების წესსა და პირობებს.
2. დებულება ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებას" და სხვა შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტი, ან პირი, რომელსაც სურს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძოს ზემოაღნიშნულ პროგრამაზე, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე გადის შემოქმედებით ტურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.
2. ტურში მონაწილეობის მისაღებად აბიტურიენტი გადის ელექტრონულ რეგისტრაციას სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით.
3. იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტი შშმ ან/და სსსმ პირია და საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს, აღნიშნული უნდა მიუთითოს განცხადებაში და წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო ცნობა).
4. რეგისტრაციისას აბიტურიენტს ენიჭება უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის საშუალებით მას შეუძლია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ნახოს შემოქმედებითი ტურის, საპრეტენზიო განაცხადის შემთხვევაში მიღებული და საბოლოო შედეგები.

მუხლი 3. შემოქმედებითი ტური

1. შემოქმედებითი ტურის ჩატარებას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. გამოცდა ჩატარდება რექტორის ბრძანებით დადგენილი პირობებითა და ვადებში.

3. შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური ჩატარდება გასაუბრებისა და სმენითი და საშემსრულებლო უნარების შეფასების ფორმატში, რომლის ფარგლებში შემოწმდება კონკურსანტის მოტივაცია და სფეროს შესახებ ზოგადი ცოდნა.
4. შეფასების კრიტერიუმები და სხვა პრობები განისაზღვრება პროგრამაზე მიღების პირობების შესაბამისად და რეგისტრაციის ვადებთან ერთად და საჯაროდ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
5. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის ქულებს არ ენიჭება კოეფიციენტები და ისინი არ იქნება გათვალისწინებული რანჟირებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულებთან ერთად.
6. შემოქმედებით ტურზე გამოუცხადებელ აბიტურიენტს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ტურის ჩატარება, თუ მან უნივერსიტეტის მიერ დადგენილ დროს ვერ შეძლო გამოცდაზე გამოცხადება:
   ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში არანაკლებ ერთი დღე-ღამით ყოფნის შემთხვევაში;
   ბ) ოჯახის წევრის (მეუღლე, დედა, მამა, და-ძმა, შვილი) გარდაცვალების გამო;
   გ) დაუძლეველი ძალის გამო.
7. გამოცდაზე გამოუცხადებელმა აბიტურიენტმა სტაციონარულ დაწესებულებაში ყოფნის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების და ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტში ტურის დასრულებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
8. თუ აბიტურიენტმა დაუძლეველი ძალის გამო ვერ შეძლო დადგენილ ვადაში ტურზე გამოცხადება, იგი ვალდებულია ტურის დასრულებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტში წარმოადგინოს დასაბუთებული განცხადება და, არსებობის შემთხვევაში, განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. შემოქმედებითი ტურის შეფასება

1. გასაუბრება ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

<u>ა) ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის მიმართულებით:</u>

	კრიტერიუმი	**ქულა**
1.	**საბაზისო შემოქმედებითი უნარები**	**20**
	კონკურსანტს გააჩნია საჯარო ან კერძო სკოლადამთავრებულისგან მოსალოდნელი მუსიკის საფუძვლების საბაზისო ცოდნა	0-10
	კონკურსანტი ავლენს ზოგად ცოდნას მუსიკის ტექნოლოგიის ზოგიერთი ასპექტის, აკუსტიკური და/ან ელექტროაკუსტიკური მუსიკის ცალკეული სტილის/სტილების, ჟანრის/ჟანრების, კომპოზიტორების, შემსრულებლების, ბენდების და/ან მუსიკალური ნიმუშების შესახებ.	0-10
2.	**მოტივაცია**	**10**

	კონკურსანტი ავლენს ზოგად ცოდნას დარგის შესახებ, გამოხატავს მუსიკის შესწავლის სურვილს და მზადყოფნას სწავლის პროცესში მოსალოდნელი გამოწვევების გადასალახად.	0-5
	კონკურსანტი ავლენს მსჯელობისა და არგუმენტაციის უნარებს: ნათლად აყალიბებს და გასაგებად გადმოსცემს აზრს; საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად დასაბუთება.	0-5
	სულ:	**30**

ბ) <u>საშემსრულებლო მიმართულებით (ჯაზი და საკლავიშო ხელოვნება):</u>

	კრიტერიუმი	**ქულა**
1.	**საბაზისო სმენითი და საშემსრულებლო უნარები**	**20**
	კონკურსანტი ავლენს სმენით და სიმღერის ან/და მინიმუმ **ერთ საკრავზე დაკვრის უნარებს,** რომლებიც საჭიროა მიმართულების სმენითი და საშემსრულებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ტესტის საერთო ხანგრძლივობა 15-20წთ. ჯაზის ხელოვნების მიმართულებით შემოწმდება კონკურსანტის ● მელოდიო-ჰარმონიული სმენის და რიტმის შეგრძნების უნარები (5 ქულა) ● მარტივი ვოკალური / ინსტრუმენტული პიესის შესრულების უნარი (10 ქულა) საკლავიშო ხელოვნების მიმართულებით შემოწმდება კონკურსანტის ● კონკურსანტის მიერ შერჩეული აკადემიური რეპერტუარიდან შერჩეული ნებისმიერი ექპოის ნაწამორმოები/ები (პროფესიულად ორიენტირებული მუსიკალური სკოლების/სასწავლებლების მე-8-9 კლასების დონე).	0-15
	კონკურსანტი ავლენს ზოგად ცოდნას აკადემიური მუსიკის ცალკეული სტილის/სტილების, ჟანრის/ჟანრების, კომპოზიტორების, შემსრულებლების, და/ან მუსიკალური ნიმუშების შესახებ.	0 -5
2.	**მოტივაცია**	**10**
	კონკურსანტი ავლენს ზოგად ცოდნას დარგის შესახებ, გამოხატავს მუსიკის შესწავლის სურვილს და მზადყოფნას სწავლის პროცესში მოსალოდნელი გამოწვევების გადასალახად.	0-5
	კონკურსანტი ავლენს მსჯელობისა და არგუმენტაციის უნარებს: ნათლად აყალიბებს და გასაგებად გადმოსცემს აზრს; საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად დასაბუთება.	0-5
	სულ:	**30**

2. კონკურსანტი შეფასდება 30 ქულიანი სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება 16 ქულაზე ნაკლები, ის გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

მუხლი 5. შემფასებელი და სააპელაციო კომისიები

1. გასაუბრებას აფასებს შემფასებელი კომისია.
2. მე-4 მუხლით გათვალისწინებული კონკურსის და გამოცდის შეფასების, ასევე საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს მუსიკის ცენტრის დირექტორი წარუდგენს კანდიდატთა სიას. ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ყოველწლიურად იქმნება შემფასებელი და სააპელაციო კომისიები.
3. დაუშვებელია სააპელაციო კომისია შედგებოდეს იმ პირებისგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული კონკურისის შეფასებაში.
4. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარი.
5. კომისიის თითოთეული წევრი აფასებს კონკურსანტს ინდივიდუალურად მე-5 მუხლის 1 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების და მათთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით. კონკურსანტის საბოლოო ქულა ანგარიშდება თითოეული წევრის მიერ განსაზღვრული ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის გაანგარიშებით.

მუხლი 6. საბოლოო შედეგები

1. კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე აბიტურიენტისთვის მინიჭებული ინდივიდუალური კოდისა და შესაბამისი პირის მიერ მიღებული ქულების მითითებით;
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი შესაბამისი წლის 20 ივნისამდე ასრულებს შემოქმედებით ტურს და მასთან დაკავშირებულ პროცესებს და არაუგვიანეს 25 ივნისისა მიღებულ შედეგებს უგზავნის რექტორს;
3. კონკურსის შედეგების შესახებ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ელექტრონული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

   ა) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საიდენტიფიკაციო კოდი;

   ბ) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

   გ) აბიტურიენტის პირადი ნომერი, სახელი, გვარი;

   დ) კონკურსზე მიღებული შეფასება

   ე) ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.
4. მიღებული შედეგები იგზავნება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი წლის 30 ივნისამდე.